შპს „ბალავერი”

ვამტკიცებ“, შპს „ბალავერი“-ს
დირექტორი: მ.გეგია
თარიღი: 14.08.2019



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, პეკინის ქ. №2, (ს.კ. 034/001.01/602) მდებარე ფართში პირველი სართულის იატაკის გაძლიერებისას და ანტრესოლში ორი კიბის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ

თბილისი 2019 წ

არსებული მაღაზიის ფართში მოწყობილია ანტრესოლი რ.ბ. გადახურვით, სადაც ასვლა ხდება რ/ბ-ის კიბით.

ადგილზე ვიზიუალური დათვალიერების შემდეგ ირკვევა, რომ არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებს ბზარები და დეფორმაციები არ აღენიშნება.

არსებული რკინა-ბეტონის კიბე და მიმდებარე ანტრესოლის ფილა უნდა მოინგრეს.

რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს პირველი სართულის იატაკის დემონტაჟით. უნდა იქნეს დათვალიერებული პირველი სართულის გადახურვის მზიდი კონსტრუქციები (რიგელები და გადახურვის ასაწყობი ფილები). დადებითი შეფასების შემდეგ შესაძლებელია რეკონსტრუქციის განხორციელება.

ახალი პროექტით გათვალისწინებულია უფრო ვიწრო, ორი სიმეტრიული კიბის მოწყობა, რომელთა შორის ერთი ლითონისაა ხოლო მეორე რკინა-ბეტონის.

არსებული რკინა-ბეტონის ანტრესოლის ფილის გამაგრება უნდა მოხდეს დამატებითი რიგელებით, რომლებიც დაეყრდნობიან ლითონის სვეტებსა და არსებულ რკინა-ბეტონის რიგელებს.

არსებულ ანტრესოლში პეკინის ქუჩის მხრიდან მდებარე პარაპეტი უნდა მოინგრეს და ანტრესოლის ფილა უნდა გაგრძელდეს საპროექტო რიგელებამდე.

ანტრესოლის ფილაში სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა მისი გამაგრება დროებითი საყრდენებით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, პეკინის ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: 034/001.01/602 მდებარე მაღაზიის ფართში, მოეწყოს ანტრესოლზე ლითონის ორი კიბე, შესაბამისად დამუშავებული პროექტით.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ. გეგეჭკორი
☎: 555-41-95-08
✉: tgegechkori@mail.ru